N 187 04/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლელა ჩახვაძის

მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის

წარდგენის ოქმი.

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეული

შეევედრის ჩატარების თარიღი: 03.06.2019 წელი 14:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს წევრი ლელა ჩახვაძე, ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჩხარტიშვილი, მერის წარმომადგენელი ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში შოთა ტუღუში, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

საკრებულოს წევრმა ლელა ჩახვაძემ მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მათთან შესახვედრად.

საკრებულოს წევრმა ლელა ჩახვაძემ, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, როგორც საკრებულოს, ასევე საკრებულოს ფრაქციასა და კომისიებში ამომრჩევლებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრი ლელა ჩახვაძე უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისია; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია). აგრეთვე იყო ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“-ს თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 12 სხდომაში. მისი ხელმძღვანელობით მოწვეული და ჩატარებული იქნა ფრაქცია ,,ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ 4 სხდომა, მონაწილეობდა საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ მოწვეულ თათბირებში, საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში და 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვებში, რომელიც შემდგომ იქნა დამტკიცებული. საკრებულოს სხდომაზე დააყენა საკითხები:

1. პირველი სკოლისთვის ნოე ჟორდანიას სახელის მინიჭების თაობაზე.
2. ბაგა-ბაღის თანამშრომლებისთვის ხელფასის მომატება.
3. საკრებულოს და მერიის თანამშრომლებისთვის ხელფასის მოწესრიგების შესახებ.
4. სოფელ ნინოშვილის კულტურის სახლში განათების მოწყობის თაობაზე.
5. გრიგოლეთის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის და ხეების გაჩეხვის შეჩერების შესახებ.

საკრებულოს წევრმა ლელა ჩახვაძემ საკრებულოს წევრებს მოუწოდა, რომ მათი ხელფასიდან სიმბოლური თანხა გადაერიცხათ ,,სოლიდარობის ფონდში“, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. განიხილა და მერიის აუდიტის სამსახურს გადაუგზავნა ა(ა)იპ ,,სპორტული ცენტრის“ თანამშრომელთა მიერ შემოტანილი წერილი. აქტიურად იღებდა მონაწილეობას აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში.

საკრებულოს წევრმა ლელა ჩახვაძემ გამოითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებიდან დასაქმებული თანამშრომლების სია და თანამდებობრივი სარგოები, რომელზეც აგრძელებს მუშაობას. იგი, როგორც საკრებულოს წევრი აგრძელებს აქტიურ მუშაობას, რათა 2019 წელი იყოს უფრო ნაყოფიერი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

საკრებულოს წევრმა ლელა ჩახვაძემ ნინოშვილის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქე ავთანდილ მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთებული სანიაღვრე არხები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, ასევე მოსაწესრიგებელია გარე განათება.

მოქალაქე შოთა ტუღუში დაინტერესდა იგეგმება თუ არა საყანე ფართობების შეწამვლა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ განმარტა, რომ საყანე ფართობების შეწამვლის სამუშაოები წელსაც არის გათვალისწინებული.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, მიუხედავად აზიური ფაროსანას საწინაღმდეგოდ ჩატარებული ღონისძიებებისა იგი კვლავ რჩება ადგილობრივი მოსახლეობის საერთო პრობლემად.

საკრებულოს წევრმა ლელა ჩახვაძემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით ჩხარტიშვილმა და ასევე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ მოსახლეობას შეძლებისდაგვარად დახამრებას და რიგი პრობლემების მოგვარებას დაპირდა.

ლელა ჩახვაძე

მდივანი
ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია"